ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 228
1877

ივერია

№ 228
1903

ოკდომბერი 26, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკდომბერი 26, კვირა 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით —9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

გიორგი სიმონის ძე ივანოვი შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 26 ოკდომბერს, დილის 10 საათზე, გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფასის მეუღლისა და უკანასკნელთა დედის

თეკლე ქრისტეფორეს ასულის ივანოვის

სულის მოსახსენებლად და სთხოვს მობრძანდნენ კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში. (2—227—2)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგ საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ძეგლებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელაძე.**

„ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება

ყველა ქართული წიგნები და ქართულ რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და უცვლის ძველს და ნახმარ წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

ჟირარდის მანუფაქტურის საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მომავალ სეზონისათვის მიღებულია და ყოველ-დღე მოდის დიდ-ძალი რუსეთისა და საზღვარ გარეთის ნაწარმოები მაღალ-ღირსებისა და მებელების მატერიები, ფარდები, ხალიჩები, საფიანდაზო, ბაზრობა, ზონრები და სხვა.

ხელოვნური ტყავი „Pantasote“ სხვა-და სხვა ფერისა.

ლინოლეუმი

იატაკზე დასაგები, პარკეტის მაგივრა. ლინოლეუმი—ხალიჩა და ფიანდაზი, კლეონკა-

დონნერი და ლეიტცი.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

არმოდგენა № 10. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 26 ოკდომბერს 1903 წ.,

მ. მ. საფაროვა—აბაშიძის მონაწილეობით ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

ხათაბალა

კომედია 5 მოქ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა

მონაწილეობას იღებენ: მ. მ. საფაროვაბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა.

ბ-ნნი: კ. ყიფიანი, დ. აწყურელი, ნ. გვარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ჰამლეტი“

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 26 ოკდომბერს 1903 წ.,

მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქ. და 7 სურათ. მუსიკა ჩაიკოვსკისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: რენე-რადინა, კარრი, კალინინა, ლედინა; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, გავრილოვი, რჟანოვი.

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

უფროსი რეჟისორი ნ. ი. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ორშაბათს, 27 ოკდომბერს

სახაზინო თეატრში

წარმოდგენილი იქნება

ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

რომეო და ჯულიეტა

ოპერა გუნოსი,

ამ წარმოდგენის შემოსავალი გადადებულ იქმნება ტფილისის მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისათვის: იმედია, ტფილისის საზოგადოება, რომელიც ყოველ წელს შემწეობას აძლევს ამ საზოგადოებას, სიამოვნებით დაესწრება განზრახულ წარმოდგენას, რომელიც ჩვეულებრივის ყოველ-წლიურის კონცერტის მაგივრად იმართება.

ბილეთების შეძენა შეიძლება საზოგადოების კანტორაში, გრიფისა და სამების ქუჩების კუთხეში, ხოლო წარმოდგენის დღეს—თეატრის კასაში. (1—უ—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ზ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახელში მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტ ფ ი ლ ი ს ი

⁂ ბიულეტენი კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის ჯანმრთელობისა 24 ოკდომბრის საღამოს 8 საათისა:

„უკანასკნელ ოთხის დღის განმავლობაში დილისა და საღამოს ტემპერატურა ჩვეულებრივს ზომას არ გადასცილებია. თვითგრძნობიერება და საერთო მდგომარეობა კარგი აქვს, ჭრილობები გასუფთავდა და ურჩება“.

მალინინი, წუდნოვსკი, რუდნევი, გადომსკი.

⁂ როგორც ხმა ისმის, სოხუმის ქალაქის მოურავად არჩეული ვ. ნ. აბულაძე მთავრობას უკვე დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე.

⁂ თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა ტფილისის ნოქართა დამხმარებელი საზოგადოება, მაგრამ მაინც დიდს უნარს იჩენს თურმე. როგორც 1902 წ. ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოებას ჰყავდა 161 წევრი. რაც შეეხება საზოგადოების შეძლებას, 1903 წ. 1 იანვრისათვის ჰქონდა 3661 მან. 36 კაპ. შარშან, 1902 წ., საზოგადოებას აუღია ნება-რთვა და დაუარსებია კიდეც სამკითხველო, სადაც ყოველთვის მოიპოვება ადგილობრივი და რუსეთის ჟურნალ-გაზეთები. გარდა ამისა, საზოგადოებამ ტფილისში დაითანხმა მრავალი სავაჭრო ფირმა და აქედან ეძლევათ წევრთ ყოველი საოჯახო საგნები დაკლებულის ფასით. საზოგადოებამ შეადგინა სიები ამ ფირმებისა და აგრეთვე დანახარჯის წიგნაკებიც, რომლებიც ურიგდებათ წევრთ საზოგადოებისავე კანტორაში (განოვის ქუჩა, ა. ფრიდონოვის სახლი). საზოგადოება ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, რომ როგორმე მალე მოაწყოს წევრთათვის საექიმო დახმარება. საზოგადოებას განუზრახავს სავაჭრო კლასების დაარსება და უმაღლეს მთავრობისათვის უკვე წარუდგენია პროექტი დასამტკიცებლად.

⁂ კვირას, **2** ნოემბერს, დანიშნულია კრება სომხურ დრამატიულ საზოგადოებისა. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა და აარჩიოს გამგეობის ორი წევრი. კრება მოხდება „საარტისტო საზოგადოების“ სადგომში.

⁂ ქ. ქუთაისში, პარასკევს, 24 ოკდომბერს, პირველი ქართული წარმოდგენა იყო, დრამატიულ საზოგადოების არტისტთა მონაწილეობით. წარმოდგენას კარგად ჩაუვლია. თეატრი სავსე ყოფილა ხალხით.

⁂ ხარბინის ნავთ-სადგურიდგან (მანჯურია) შემდეგი დეპეშა მოგვივიდა:

„ხუთშაბათს, 23 ოკდომბერს, გომართელის თეატრში წარმოდგენილ იქმნა ქართულად მეხუთე მოქმედება ბ-ნ გუნიას დრამისა „და-ძმა“ და თ-დ ჭავჭავაძის სცენები „გლახა ჭრიაშვილი“. დამსწრენი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ და ქართველები აღტაცებაში მოიყვანა ამ პირველ წარმოდგენამ სამშობლო ენაზედ“.

ხარბინელი ქართველები.

დეპეშა დაგვიანებულა გზაში, რადგან ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს აზრი ვერ გაუგიათ და ხელმეორედ დაჰკითხებიან ხარბინის სადგურს.

⁂ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია, რომ, რადგანაც ავლაბრის თეატრში ამის შემდეგ ქართული წარმოდგენები აღარ იქნება თეატრის სიძვირისა გამო, სამაგიეროდ ქართულ თეატრში გამართოს კვირაში სამი წარმოდგენა. აქამდე ორი იყო—ხუთშაბათობითა და კვირაობით, ახლა მიემატება სამშაბათობითაც. პირველი სამშაბათის წარმოდგენა იქნება 28 ოკდომბერს; წარმოადგენენ „ჰამლეტს“, ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით.

⁂ ხმოსანს თავ. ვ. მიქელაძეს თავისი აზრი გამოუცხადებია საბჭოს საფინანსო კომისიისათვის, უმჯობესი იქნება ქუჩების, მოედნებისა და ხიდების დაწმენდა იჯარით გაიცეს და ქალაქის გამგეობას ჩამოერთვას ეს მოვალეობაო. კომისიას მოსწონებია ეს აზრი და დაუდგენია, ქალაქის საბჭოს წარუდგინოს თავისი მოხსენება.

⁂ ქალაქის წიგნთ-საცავისათვის, რომელიც ა. პუშკინის სახელობაზე უნდა დააარსოს ქალაქის სამმართველომ, სახლის აშენება ვერა ხერხდება მომავალ წელს, რადგან ქალაქს ისედაც დეფიციტი ექმნება. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით, შენობას მოუნდება 11,000 მ. ამბობენ, ორი-სამი წელიწადი შეიგვიანებს ამ შენობის აგებაო.

⁂ ქალაქის სამმართველოს განუზრახავს, ცხენის რკინის გზის ლიანდაგი დააგოს ანდრეევის ქუჩაზე რკინის გზის საქონლის სადგურამდე, რომ მატარებლით მოტანილი ქვა გადმოზიდოს ქალაქში ქუჩების მოსაფენად. გამგეობა შეეკითხა ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს, ისურვებთ თუ არა ამ ლიანდაგის დაგებასაო.

⁂ 23 სეკდემბრიდგან 1-ლ ოკდომბრამდე ტფილისში ავად გამხდარა სხვადასხვა გადამდებ სენით 16 კაცი, მათ შორის 10 ქუნთრუშით (1 მომკვდარა), 4—ყელჭირვებით, სახადით 1 და ყივანახველით—1.

⁂ კვირას, 19 ოკდომბერს, როგორც „ჩერნომორ. ვესტნ." იუწყება, სადგურ სუფსაზედ შემდეგი უბედურება მომხდარა: კოწია შარაშიძის ქორწილზედ ყოფილან თ-დი ვ. დ. გურიელი, აზნაურნი ი. გ. თავართქილაძე, გ. და მ. გიგინეიშვილები, ს. გოთუა და სხვ.; ქორწილიდან წამოსულან სადგურ სუფსაზედ, შესულან პირველის კლასის ბუფეტში და ღვინო მოუთხოვნიათ; შეზარხოშებულთ ლაპარაკი მოსვლიათ ერთმანეთში, რომელიც ჩხუბად გადაქცეულა, დაუწყიათ რევოლვერების სროლა და დაუჭრიათ ი. გ. თავართქილაძე, ცოლშვილის პატრონი კაცი, მეტად მშვიდობის მოყვარე და ყველასაგან პატივცემული, და ს. გოთუა; თავართქილაძე არის დაჭრილი ხელსა და თეძოში, გოთუა—ბეჭში; პირველი გაგზავნეს ქ. ქუთაისს, ს. თოფურას საავადმყოფოში, ხოლო მეორე ბათუმის საქალაქო საავადმყოფოში.

⁂ 27 ოკდომბრიდგან ქ. სოხუმს დაიწყებს საქმის გარჩევას ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია.

⁂ ბათომის პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა ჩხიკვაძემ დააპატიმრა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები ალექსანდრე უენია, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ მონაწილეობას იღებდა ფ. ფ. გიენის მოკვლაში. ბ-ნი გიენი ბნიტოს ქარხნის დირექტორია ბათომში.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთ კურსის დამთავრების დროს უნდა ეძლეოდეთ 25% იმ ფულისა, რომელიც შემოვა სასწავლებელში დამზადებულ ნივთების გაყიდვით 1893 წლიდან ეს დადგენილება არ აუსრულებიათ თურმე. ამიტომ ხელოსანთა მოურავმა შუამდგომლობა აღძრა გამგეობის წინაშე, რომ სწავლის დასრულების დროს მოსწავლეთ უსათუოდ მიეცეთ ხოლმე ფული.

⁂ ქალაქის გამგეობას განუზრახავს ქალაქის მიწა ნავთლუღის საყასბოსთან დაანაწილოს და იჯარით გასცეს 24 წლით. სადუქნო ადგილებზე ვაჭრობა იქნება გამოცხადებული, ხოლო დასასახლებელი ადგილები გაიყიდება ორ-სამ შაურად კუბოკრული საჟენი. ყოველ ექვსის წლის შემდეგ იჯარის ფულს წაემატება 20 პროცენტი. დუქნების ადგილები გაიცემა მხოლოდ 10 წლით იმ პირობით, რომ იჯარადარს არა ჰქონდეს უფლება სხვას გადასცეს იჯარით აღებული ადგილი. ვისაც ქალაქში სხვა მამული აქვს, ქალაქის მიწას ვეღარ აიღებს იჯარით, უკეთუ ერთისა და იმავე ადგილის აღება მოისურვეს მოქალაქემა და დროებით აქ მცხოვრებმა, უპირატესობა პირველს მიეცემა. თუ რომელსამე ადგილს თანასწორ უფლების შემცილენი გამოუჩნდნენ, მაშინ წილი უნდა ჰყარონ იმათ შორის. იჯარადარმა ხელშეკრულობის დადების შემდეგ ორის თვის განმავლობაში იჯარით აღებული მიწა უნდა შემოღობოს და ორის წლის დამლევამდე სახლი ააშენოს, ერთი ოთახი მაინც. ეს გამგეობის დადგენილება საბჭოს მოხსენდება და შემდეგ გუბერნატორს წარედგინება დასამტკიცებლად.

შეცდომის გასწორება

ამას წინად გამოცხადებული გვქონდა, რომ ბ-ნმა ელიაძემ შესწირა სკოლას 100 მანეთი და დაპირდა ყოველ წლივ ას-ას მანეთის შეწირვასაო. არ იყო კი მოხსენებული, რომ ის ყოფილა მოხევეთა სოფელ სნოში.

გურიიდან მოწერილ ჩვენებურ ამბავში № 221 შეცდომით იყო თქმული: ...გააუქმეს ბალის როტონდაო, უნდა ყოფილიყო: და ამასთან ახალის ყავრით დახურეს ბალის როტონდა. მერე კიდევ: .. რომლის ალაგს გადმოიყვანეს მე-3 როტა; უნდა იყოს: სამი როტა.

არა საწყენის საწყენად მიღება

(წერილი რედაქციის მიმართ).

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნ არისტოტელ ქუთათელაძის გუშინდელს პრეტენზიას ბევრი მკითხველი ვერ მიხვდება, ვერ გაიგებს, თუ რა მიიღო მან საწყენად. ამის გამო იძულებული ვარ ეს მცირედი განმარტება დავბეჭდო.

მწერლობაში ხშირად ვხედავთ, რომ ავტორი რომელიმე წერილისა, როცა იხსენიებს რომელსამე პირსა, ჯერ სრული ტიტული მოჰყავს მისი და შემდეგ-კი კმარობს ან გვარსა და ან სახელსა. სახელს კმარობს იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელი მხოლოდ ხსენებულს პირს ჰქვიან და სხვას არავის. მაგალითად, ჩვენს სახელოვანს პოეტს ხშირად იხსენიებენ ჟურნალ-გაზეთებში მხოლოდ აკაკის სახელით არც გვარი, არც მამის სახელი და არც ბატონი საჭიროდ არ მიაჩნიათ, და ეს ჩვენს პოეტს არამც თუ არა სწყინს, კიდეც იამება.

მსგავსად ამისა, ჩვენს წარსულს კვირას „შურდულის" ერთს პაწია წერილში ბ-ნი არისტოტელ ქუთათელაძე მოვიხსენიეთ ჯერ სრული ტიტულით და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ-კი არისტოს სახელით, რადგანაც ეს სახელწოდება მხოლოდ მას ჰქვიან ჩვენ შორის და სხვას არავის. როცა მესამე კორექტურას ჩვენის შენიშვნისას ვკითხულობდით, ფრაზაში: „ეს სიტყვები გადავათარგმნინეთ არისტო", უკანასკნელი სიტყვა (არისტო) გამოტოვებული იყო, სხვა-კი ყველაფერი უცვლელად იყო დარჩენილი. ჩვენ ეს ასოთ-ამწყობის შეცდომად ჩავთვალეთ (თურმე რედაქციას-კი გამოეტოვებინა) და სახელი არისტო კვლავ აღვადგინეთ. ჩვენდა სანანურად, სახელს არ დავუსვით წინ „ბ-ნი", რადგანაც სრულიად არ მოველოდით, რომ ამას საწყენად მიიღებდა ბ-ნი არისტოტელ ქუთათელაძე.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვნანობთ, რომ სრულიად უნებლიედ უსიამოვნება მივაყენეთ ბ-ნს არისტო ქუთათელაძესა.

რაც შეეხება სხოლიოს რედაქციისას, იგი აიხსნება უმთავრესად იმით, რომ როცა რედაქციას მიუღია ბ-ნის ქუთათელაძის წერილი, მას ჰგონებია, რომ წერილის ავტორი თაკილობს და უარ-ჰყოფს თვითონ თარგმანს სიტყვებისას ბ-ნი კორხანიის სახელმძღვანელოში, რაც აშკარა შეცდომაა, რადგანაც ამ უკანასკნელმა ორჯელ გამოაცხადა ბეჭდვით, რომ სიტყვები რუსულიდგან ქართულად ბ-ნს არისტოტელ ქუთათელაძეს ვათარგმნინეო. პირველად ეს გამოაცხადა თავისი სახელმძღვანელოს უკანასკნელ გვერდზე და მეორედ თვითონ „ივერიაში", და ბ-ნ ქუთათელაძის მხრივ არავითარი პროტესტი არ გამოუწვევია. ამ პროტესტს არც უკანასკნელ თავისს წერილში აცხადებს, რომელიც, სამწუხაროდ ისე ბუნდად დაუწერია, რომ თვით რედაქციაც ვერ მიმხვდარა სწორედ, რაა საწყენი და რაზე სჩივის ბ-ნი არისტოტელ ქუთათელაძე.

—ლი.

ჩვენებური ამბები

დიდი ჯიხაიში (ქვემო იმერეთი). არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა აქაურ ბაზრის უწეს-რიგობაზედ. დღე არ გაივლის ისე, რომ აქაურ ბაზარში სიმთვრალის გამო ერთი აურ-ზაური, ვაიუშველებელი, ხანჯლების ტრიალი და კაცის ჩეხვა არ მოჰხდეს. ბაზარში არც ქალს და არც კაცს არ გაევლება. აქამდე თუ არღანს ვერ ნახავდით ბაზარში, დღეს ოთხ-ხუთ არღანს ყოველ ქუჩაში აღრიალებენ. მეტადრე ძლიერ შევიწროებულნი არიან აქაურნი მოსწავლენი და მასწავლებელნი; რამდენჯერმე განუცხადა მამასახლისს აქაურმა ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველმა, რომ მოესპო არღნები ბაზარში, მით უმეტეს, რომ აქ არსებობს, გარდა ვაჟებისა დ ქალების სასწავლებლისა, ქსენონი, რომელშიაც ყოველ დღე ორმოცი კაცი და ქალი ავადმყოფი მუდამ არის.

20-ს ოკდომბერს აქაური ბაზარი საზარელ სურათს წარმოგვიდგენდა. რომელს ქუჩაშიც უნდა გაგეხედათ, იყო ერთი ჩხუბი და დავიდარაბა: ხანჯლების ჩახაჩუხი, კეტების ტრიალი და თავების მტვრევა; აქაურნი მცხოვრებნი კაჭახიძე და ვაშაკიძე კიდეც შეიჭრნენ ხანჯლით დაჭრილები სოფლის კანცელარიაში და მამასახლისს სთხოვდნენ შველას, მთლად სისხლში მოსვრილები. მეორე დღეს უარესი ამბავი მოჰხდა: ერთმა ვაჟბატონმა ბებია ქალის სახლის ფანჯრებს დაუშინა ღვინით სავსე ბოთლები გზიდგან და ფანჯრები სულ დალეწა. დარაჯებმა დაიჭირეს ის კაცი და კანცელარიაში მამასახლის წარუდგინეს. მამასახლისმა ძლივს იქვე ოთახში დაამწყვდია წესიერების დამრღვევი.

სასურველია, რომ ბოლო მოეღოს ამისთანა უწეს-რიგობას.

ჯიხაიშელი,

კავკასია

ქ. კავკავი. (თერგის ოლქი). 20 ოკდომბერს მომავალმა ეტლმა ოლგის ქუჩაზე მოიყოლა ქვეშ 14 წლის ყმაწვილი აქაურ რეალურის სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფე, რომელიც თავ-ჩაჩეხილი მიიყვანეს პოლიციაში.

აქეთ ცუდი დარია, ნისლით არის მოცული მთელის კავკავის არე-მარე. აცივდა კიდეც.

კავკაველი ა. ყ.

რუსეთი

1 ნოემბერს უსრულდება 25 წელიწადი სამეცნიერო-სალიტერატურო მოღვაწეობათ ორდინარ აკადემიკოსს და ისტორია-ფილოლოგიურის ინსტიტუტის დირექტორს ვ. ვ. ლატიშოვს.

— პუშკინის პრემიებს მიუსაჯავს კიდევ სამეცნიერო აკადემია ღირსეულის თხზულების წარმდგენელთ 1905 წელს.

— ზაბაიკალიეში, ერთს მიყრუებულ მხარესაც-კი, უდღესასწაულნიათ ვლ. კოროლენკოს 50 წლის შესრულების დღე.

— კურსკის სამაზრო ერობამ პირველად სცადა შარშან ზამთარს ხალხში წიგნების გავრცელება გამყიდველების საშუალებით. გაუყიდა 3845 წიგნი იაფ ფასად, 1 კაპ. დაწყებული 40 კაპიკამდე.

— ცარიცინის თავად-აზნაურობას მიჯნულობა ჰქონდა თავად-აზნაურთა გადასახდებზედ ციმბირში. კრებაზედ ნება არ მისცეს დარჩენისა გაზეთის წარმოდგენელს.

— მოსკოვში უნდათ გამართონ სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრება და მეფუტკრეობის გამოფენა.

— ცივილისტების სექციაზედ მოსკოვში კრებამ მოისმინა რეფერატი სოკოლოვსკისა: ურთიერთობა ცოლ-ქმართა რუსეთის უფლების შეხედულობით. შემდეგ პროფ. ხვოსტოვმა წაიკითხა ბიოგრაფია „დიდებულის კაცის" მომზენისა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ისტორიას და იურისპრუდენციასაო. მომზენი, როგორც შესანიშნავი ისტორიკოსი იყო, ისე იურისტი იყო გამოჩენილი.

— ოდესაში გაირჩა საქმე გაზ. „Одесскія Новости"-ს რედაქტორების ა. ს. ერმანსის და ე. ვ. ვასკოვსკისა, აგრეთვე ამ გაზეთის თანამშრომლის ლ. ტრეცკისა, რომელთაც ბრალდებოდათ დიფამაცია. უჩიოდა მ. გრანოვსკი სასჯელთა დებულების 1039 მუხლის ძალით. ხსენებულ გაზეთში დაებეჭდა თურმე ტრეცკს, რომ გრანოვსკი თავისს შვილებს ვეგეტარიანობას ასწავლიდაო და ამიტომ ბავშვები სახლიდგან გაქცაო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ყველა პასუხისგებაში მიცემულნი და გადაუწყვიტა: რედაქტორებს ერმანსა და ვასკოვსკის ას-ასი მანეთით დაჯარიმება თითოს, ხოლო თანამშრომელს ტრეცკს—ათი მანეთით ჯარიმა.

უცხოეთი

ოსმალეთი. სტამბოლიდგან ატყობინებენ გაზ. «ფრანკ. ცეიტ.»-ს:

«შესაძლებელია, რომ ხონთქარმა კარგა ხანს დააგვიანოს პასუხი ავსტრია-რუსეთის ნოტაზედ მაკედონიის შესახებ. ხონთქარს თათბირი აქვს არა მარტო მინისტრებთან, არამედ სხვა გავლენიან სახელმწიფო მოღვაწეებთანაც. ქილმი-ფაშა ურჩევს,—ნუ მიიღებ იმ ნოტასაო.

ამგვარივე ცნობანია გაზ. «ტაიმს»-ში. ზოგნი ურჩევენ ხონთქარს,—დიდ სახელმწიფოთა თვალის ასახვევად ისა სჯობია მივიღოთ მათი პროექტი რეფორმებისა, მაგრამ ნუკი განვახორციელებთო. ზოგნი კი იმ აზრისა არიან,—პირდაპირ უარვყოთო. იილდიზ-კიოსკში ომის მომხრეთა რიცხვი სჭარბობს. ქილმი ფაშა სასოწარკვეთილებაშია. მისის აზრით, ავსტრია-რუსეთის ნოტის დაკმაყოფილება ოსმალეთის მხრივ მაკედონიის დათმობას მოასწავებსო. ასევე ჰფიქრობენ ბევრნი სხვანიც. მაკედონიის მკვიდრთ კარგად ესმით, რომ რუს და ავსტრიელ მოხელეთა ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევა ბოლოს

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XXVIII

„აახ, ვაახ!"

(რომანი)

ნაწილი მეორე

აღზრდა-განათლება.

I

გთხოვთ იცნობდეთ:

კინკიბაძე გახლავთ ერთი მრავალთაგანი, გაქალაქებულ-გახუნებული... ადამის ძის შვილი. გლეხია, აზნაური თუ სხვა წოდებისა, სულ ერთია, ვინაიდგან ყველანი ცხოვრებისაგან ერთნაირად ექსორია ქმნილ არიან თავიანთის მიწა-ადგილიდან. მისმა დედ-მამამ, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც შეიგნეს სწავლა-განათლების საჭიროება და ამიტომ გარდასწყვიტეს თავიანთი შვილი სახელოვან კაცად აღეზარდათ, რომ გაუქრობელ სანთლად გამხდარიყო მათდა მოსაგონებლად.

II

კინკიბაძე თერთმეტის წლისა იქნებოდა, როდესაც ტვინის „აცრა" დაუწყეს; არ გაგეცინოთ-კია, ყმაწვილის უცხო ენაზე სწავლება, ჩემის აზრით, ნამდვილი „ტვინის აცრაა". ჩვეულებრივის, ნაცნობის ლექსების ნაცვლად, რომლებიც პატარაობიდანვე ყურში ნეტარ ჰანგებად ეწვეთებოდა, ან და დედის ტკბილი ნანინასებურ სიმღერების მაგიერ, სულ სხვას ჩასჩიჩინებდნენ უცხო ენაზე, რომლის არამც თუ შეგნება-შეთვისება, გაგებაც-კი ეხამუშებოდა. არა ერთხელ მოიგონებდა პატარა კინკიბაძე „ნეტავი ჩვენა, ბიჭებო", და სხვა მსგავსს სიმღერებს, რომლებიც თავის პატარა ამხანაგებთან ემღერნა, ხანდახან დაამღერებდა კიდეც, მაგრამ მალე შეაწყვეტინებდნენ—უცხო ენას კარგად ვეღარ ისწავლიო.

III

მასწავლებელმა ბავშვს სასტიკად აღუკრძალა სამშობლო ენაზე ლაპარაკი და კინკიბაძის მშობლები-კი ასე დაარიგა:

— თუ თქვენი შვილის ბედნიერება გსურთ, თუ გინდათ, რომ „ნამდვილი" კაცი გამოვიდეს, ისეთს ოჯახში დააყენეთ, რომ ქართული სრულიად დაავიწყდეს; აბა ახლა თქვენ თითონ იფიქრეთ, ვისთვის რა საჭიროა ქართული?

— აკი რომ აგრეა; დიაღ, აგრეა!—მიუგეს მშობლებმა!

— აი, შემომხედეთ,—უთხრა მასწავლებელმა და თან ყურადღება მიაქცევინა თავის პრიალა მხრის თავებზე,—რა და მაკლდა?—არაფერი. სამსახურში ვარ და თანდათან წინ მივდივარ. მაშ ასე, თუ შეძლება არა გაქვთ, მაშინ ეცადენით, როგორმე ქართველ ამხანაგებთან არ ატაროთ და ქართული წიგნები არ გაუჭაჭანოთ ხელში; ქართული ენა, წიგნები და რაღაც გაზეთებია, სახლში არ გააჭაჭანოთ; ერთის სიტყვით, დაივიწყეთ, რომ თქვენ ქართველები ხართ და მაშინ ნახავთ, რა შესანიშნავი კაცი დადგეს თქვენი შვილი.

— აი იდღეგრძელეთ!.. ღმერთმანი, ჩვენ თვით გვინდოდა გვეთხოვნა თქვენთვის—ქართული დაგვშალნათ,—უთხრა მასწავლებელს კინკიბაძის მამამ.

— ენას ძირში მოვაჭრი, აბა კიდევ დაილაპარაკოს ხეპრულად,—დაუმატა დედამ *).

IV

კინკიბაძის მშობლებმა მოწიწებით მოისმინეს მასწავლებლის დარიგება და, მეტი რა გზა ჰქონდათ, რომ არ აღესრულებინათ მისი რჩევა; მართალია, კინკიბაძის მშობლები საზოგადოდ წიგნების კითხვას არ ეტანებოდნენ, არც-კი იცოდნენ, ქართულად იბეჭდებოდა-რამე თუ არა, გარდა მდივანოვის კალენდარისა, რომელსაც ყოველ წლობით ყიდულობდნენ და რამდენისამე წლისა ერთად ეწყოთ თაროზე; ჰქონდათ აგრედვე „ყარამანიანის" რამდენიმე კარი, საკმაოდ ნახმარ-დაძველებული და ერთიც ყდიანი წიგნი, რომელშიაც ერთად დაკაზმული იყო: ძველი აღთქმის ისტორია, სიზმრის ახსნა, ალექსანდრე-ლუდვიკიანი, „ცისკრის" დამატების რამდენიმე გვერდი და ყველა ეს თაროზე ეწყო; მასწავლებლის რჩევისამებრ, ეს წიგნებიც-კი ზოგი მეწვრიმალეს მიჰყიდეს და ზოგიც ბუხარში ჩაბუგეს, რომ მათს შვილს ქართული ნაბეჭდი თვალითაც-კი არ განეცადნა; კინკიბაძის დედამ მხოლოდ ჯიბის კალენდარი-ღა შეინახა, რომელსაც, შვილის ჩუმად, თავის მუთაქის ქვეშ მალავდა.

(შემდეგი იქნება)

---

*) მასწავლებლისა და მშობლების ასეთი საუბარი ჩემის ყურით მომისმენია საქართველოს ერთ-ერთს მაზრაში 189... წელს. ამ რომანის გმირები ცოცხლები არიან.

ავტორი.

ტფილისი.

— იმ დღეს, ე. ი. ორშაბათს, ქალაქის საბჭოს კრებაზე ძალიან „სკუჩნაობა" გახლდათ: ხმოსნებს ბ.ბ. ევანგულოვსა და ბაბოვს ენის წვერზედ კორძები გამოსვლიათ და თავისებურად ვეღარ მჭევრმეტყველებენ. ნეტავ ეგ კორძი სამუდამოდ დარჩეთო,—ნატრობენ „მამები" ტფილისის ქალაქისა.

— როგორც ამბობენ ტფილისელი მეჭორეები, „შავ ზღვის მოამბის" მავს რედაქტორს „ცნობის ფურცლის" რედაქციისათვის უჩივლია,—როდის მიჯამბაზნია თოკზედ ფეხებითაო; მე ჩემი დღენი სულ ყირამალა მივლია, კლოუნობისას ყირამალა სიარულით თავის ქალა გადამერთვა, ამიტომ ყირამალა უნდა დავეხეტნე და არა ფეხზე მოთამაშეო. საბუთიანი საჩივარია!..

— ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისელები მორჩებიან თუ არა მთაწმინდის გორაზე ფუნიკულერის გაყვანას, მთვარეზე აპირებენ ამ გვარისავე ფუნიკულერის გაყვანას; გამოსაკვლევად გზის სივრცისა გაუგზავნიათ ბ-ნი როზი.

ჩვენებური ამბები.

სოხუმი. სოხუმს ერთი დიდი სასწაულთ-მომქმედი გვამი მოევლინა. ეს გახლავთ ბ-ნი „იკსი", რომელიც თვით წარმოადგენს რენტგენის სანათურს, ხედავს, რა ჰხდება დაკეტილს ოთახში. პირველი სასწაული ბ-ნმა „იკსმა" „ჩერნომორსკი ვესტნიკის" 222 ნომერში გამოაცხადა: ამ ერთის წლის წინად სოხუმმა ტფილისში ბიბლიოთეკა იყიდა. ქალაქის გამგეობამ იქირავა სახლი, დააბინავა შიგ წიგნები, რადგან ჯერ ნებართვა არ მიუღია წიგნთ-საცავის გამართვისა, კარები მაგრა დაჰკეტეს.

ნუ ბძანებთ, იმ ქუჩაზე, სადაც წიგნთ-საცავია, შემთხვევით გაუვლია ბ-ნ «იკსს» და შეუმჩნევია, რომ დაკეტილს წიგნთ-საცავში ვიღაც გამგე არის, კაცი მოხუცი, განათლებული და ფრანგულად კარგად მოლაპარაკე. ამ გამგეს იმდენი უშრომნია წიგნთ-საცავისათვის, რომ შრომისაგან ღონე გამოლევია და ამის გამო საავადმყოფოშიაც კი წოლილა ორი თვე. როცა კარგად გამხდარა, ისევ დაბრუნებულა, ძველებურად ერთგულად მოუკიდნია თავის საქმისთვის ხელი და, რადგან ძალიან ბევრი საქმე ჰქონია, თანაშემწე უთხოვნია, მაგრამ თხოვნა უყურადღებოდ დაუტოვებიათ.

ეს კიდევ არაფერი! აი რას აუშფოთებია ბ-ნი «იკსი»: დაუნახავს იმავე დაკეტილს ოთახში, რომ ყველა მკითხველებს ქუდები ჰხურავთ და ისე კითხულობენ წიგნებსა და გაზეთებს. ბევრს ემუდარება საბრალო გამგე, ზრდილობა იცოდეთ, ქუდები მოიხადეთო, მაგრამ რას გახდება ამ გაუნათლებელ ხალხთან, რომლისათვისაც სამკითხველო ახალი ხილია.

ბ-ნი „იკსი" სთხოვს ყველა სოხუმელს რუსს,—მაგალითი უჩვენოს ამ გაუნათლებელს ხალხს და ცივილიზაციის გზაზე დააყენოს. ამიტომ ურჩევს, რომ ქუდები აღარ დაიხურონ არამც თუ ოთახში, ქუჩებშიაც-კი, და საბჭოსაც სთხოვს,—ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას...

ამ სასწაულის გამოქვეყნებამ ჩვენი საბჭო ძალიან შეაფიქრიანა. ვერ გამოურკვევია, საიდამ გაჩნდნენ ამ მაგრად დაკეტილს სახლში ავი სულები.

საბჭომ გადასწყვიტა: წავიდნენ ხმოსნები მოურავითურთ, თან აიაზმის წყალი წაიღონ, გააღონ კარები და ნახონ, ვინ არის ეს თავდადებული მოხუცი, გამგე წიგნთ-საცავისა, და ან ის თავხედი მკითხველები ვინ არიან, ქუდებს რომ არ იხდიან.

თუ მართალი აღმოჩნდა, რასაც სწერს ბ-ნი «იკსი» „ჩერნომორსკი ვესტნიკის" 222 ნომერში, იქვიან ქმრებს ჰსურთ «იკსი» დაიქირავონ, რომ გარედან გაიგონ, რას სჩადიან დაკეტილს ოთახებში მოღალატე ცოლები. „ფას" აწი რენტგენიც და მის-მიერ აღმოჩენილი სხივებიც!..

ისევ მე.

ს. სარიყამიში (ყარსის ოლქი). ...რა უბედურება და ცოდვის ბრალი გვემართება ქართველებს, ვერ წარმომიდგენია!.. რა გულ-საკლავ სურათს არ შეხვდები, რა სამწუხარო ამბებს არ გაიგონებ აქ, ამ დალოცვილ... უჰ, ღმერთო, შეგცოდე, დალახვრულ სოფელში!.. აქ ერთი ჩვენებური რაჭველის ოჯახია დედ-მამამ რუსული არ იცის, ხოლო შვილები ყველანი რუსულად ლაპარაკობენ. გასაკვირველია ეს, მა რა არის! მათი 12—13 წლის „ბარიშნა" სკოლაში არ ყოფილა, არავითარი სწავლა არ მიუღია და... პრანჭიობს, სადღაც „ჩახლაფორთებულ" ჩიქორთული რუსული უსწავლია და ქართული-კი სულ დავიწყებია.

— Почему не говорите погрузински?

— Я грузинскій не знаешь, порус-

მოუღებს ოსმალეთის ბატონობას მაკედონიშიო.

ინგლისი. ლორდ კერზონს გადაუწყვეტია სპარსეთის უბე დაათვალიეროს, მაგრამ არც ერთ კორესპონდენტს არ იახლებს თანა, რაიცა დიდად სწყინთ, განსაკუთრებით, ინგლისურ ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენლთ. სამაგიეროდ ლორდ კერზონს უთხოვნია მთავრობისათვის,—ნება მიბოძეთ პეტერბურგის კარზე მყოფი ჩვენი ელჩი გავიყოლო თანაო.

ინგლისურ გაზეთებში ბევრი მითქმა-მოთქმაა კერზონის მოგზაურობის შესახებ. ლიბერალური გაზეთები ჰგონებენ, რომ ლორდ კერზონი მომხრეა „საზღვართა გაფართოების“ პოლიტიკისა; ამასთანავე ის სიფრთხილე, რომ არ უნდა გამოამჟღავნოს მიზეზი მოგზაურობისა, საბუთს გვაძლევს ვიგულისხმოთ, რომ ამ გამჭრიახ სახელმწიფო მოღვაწეს მიზანში ამოუღია რომელიმე მომიჯნავე სახელმწიფო და განზრახვა აქვს ჩამოათალოს რამეო.

ამბობენ, ლორდ კერზონი მტრულად უყურებს გერმანიასა, განსაკუთრებით, ბაღდადის რკინის გზის გამო.

ავსტრია-უნგრეთი. ავსტრიის გაზეთობას მოჰყავს სხვა-და-სხვა ცნობანი უნგრეთის ახალ მინისტრ-პრემიერ ტისსას შესახებ. ტისსა უფროსი ვაჟია მინისტრთა საბჭოს ყოფილ პრეზიდენტისა, რომელიც 15 წლის განმავლობაში წინამძღოლობდა მთავრობას. დაიბადა 1861 წ. აპრილის 22-სა ქალ. ბუდაპეშტში. შეისწავლა იურიდიული საგნები ბერლინისა და ჰეიდელბერგის უნივერსიტეტებში და მიიღო დოქტორის ხარისხი ბუდაპეშტის უნივერსიტეტში. ტისსა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მიწადმფლობელობის საკითხსა და რამდენიმე წიგნაკიც გამოსცა ამ საგნის შესახებ. 25 წლისა იყო, როცა ბიგარის საზოგადოებამ 1886 წელს დეპუტად აირჩია.

გრაფი ტისსა პირდაპირის, შეურჩეველ პოლიტიკის მომხრეთ ჰიაჩნიათ, თუმცა მთელი მისი მოღვაწეობა ჰმოწმობს, რომ იგი თავის პირდაპირობას ხშირად ღალატობდა, როცა-კი საჭიროება მოითხოვდა.

იაპონია. გაზ. „მორნინგ. პოსტ“-სა სწერენ ტოკიოდგან იმ მხცოვანთა კომიტეტის შესახებ, რომლის მსგავსიც არც ერთ ევროპიულ სახელმწიფოში არა არის-რა. კომიტეტის წევრებად არიან ის სახელმწიფო მოღვაწენი, რომელთაც მოხუცებულობის გამო თავი დაუნებებიათ სამსახურისათვის. აზრი ამ კომიტეტის დაარსებისა სწორედ ის იყო, რომ მთავრობას სასარგებლოდ გამოეყენებია მხცოვან მოღვაწეთა ხანგრძლივი გამოცდილება. ამას წინად ამავე კომიტეტის წევრად დაინიშნა მარკიზ იტო. კორესპონდენტის სიტყვით, ოკდომბრის 29-ს (ახ. სტ.) ბჭობა ჰქონდა კომიტეტსა იაპონიის ახლანდელ საპოლიტიკო ვითარების შესახებ და, როგორც ამბობენ, ამ ბჭობას ყველაზედ უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობაზეო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 23 ოკდომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა განიმეორა შექსპირის კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ და ვოდევილი-ოპერეტკა „ცელქები“. რომელიც მეტად მწყობრად წარმოადგინეს; შეუდარებელი იყო ბ-ნი კ. მესხი პეტრუჩიოს როლში; სწორედ სიამოვნების ნათელსა ჰფენდა მაყურებლებს მისი გაზომილი ყოველი ფეხის გადადგმა, მისი დაკვირვებით წარმოთქმული სიტყვები და მიხვრა-მოხვრა...

რამდენადაც ბ-ნი კოტე მესხი კარგი და შეუდარებელი პეტრუჩიო იყო, იმდენად სუსტი კატარინა იყო ქ-ნი გარგარეთელი, თუმცა მოკლე ხნის კანმავლობაში ეს როლი სამჯერ უთამაშნია: უადგილო-ადგილას წარბების შეჭმუხვნა, ხელების მტვრევა, უშნო სიარული სცენაზედ და დაბალის ხმით ლაპარაკი—მეტად ცუდად მოქმედებს მაყურებელზედ.

კარგად და დაკვირვებით ჩაატარეს თავიანთი როლები ბ.ბ. აწყურელმა, ბაქრაძემ, გვარაძემ, გამყრელიძემ, ივანიძემ და სვიმონიძემ, თუმცა ეს უკანასკნელი იმერულს კილოს ურევდა ფრაზებში; შექსპირის პიესაში-კი იმერულს კილოს ადგილი არა აქვს; მაგალითად, ფრაზა: „რას ამბობ, რას?“—იმერულ-პროვინციალურის კილოთი სთქვა ორ-სამჯერ ბ-ნმა სვიმონიძემ; სხვაფრივ-კი კარგი იყო. ბ-ნი საფაროვი ჩვენებურ ტეტიას უფრო ჰგავდა, ვიდრე შექსპირის მიერ დახატულ ქურთისის ტიპს; შეუდარებელი გრუმიო იყო ბ-ნი გ. გედევანოვი. კარგი ბიანკა იყო ქ-ნი ნ. დავითიშვილის ასული; არა უშავდა-რა ქ-ნს ნ. ყიფიანის ასულს; მატარაძე ძლიერ სუსტობდა.

დასასრულ წარმოადგინეს ვოდევილი-ოპერეტკა „ცელქები“, ე. ქიქინაძისა, რომელმაც დამსწრენი აღტაკებაში მოიყვანა; განსაკუთრებით მოჰხიბლა მაყურებლები ქ-ნ ტასო აბაშიძის სიმღერამ და ცხოველმა თამაშობამ, და ვ. აბაშიძისა, კ. შათირიშვილისა, გ. გედევანოვისა და ქ-ნ მდივნის ცოცხალმა თამაშობამ. ქ-ნს ტ. აბაშიძეს საზოგადოებამ დაუსრულებელის „ბისით“ რამდენიმე სიმღერა გაამეორებინა. ვ. აბაშიძესა, გ. გედევანოვსა და კ. შათირიშვილზე არას ვიტყვით, რადგან ამათ დიდი ხანია იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც კეთილ სინიდისიერად მშრომელთა და თავიანთ მოვალეობის აღმასრულებელთ; ვიტყვით მხოლოდ, რომ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ საღამოს, აბა რომელი ვაჯობებთო!.. ქ-ნს ნებიერიძეს თუმცა პატარა როლი ჰქონდა, მაგრამ იმაშიაც-კი სუსტობდა. ქ-ნი მდივანი ნამდვილი გიმნაზიელი ცელქი შეგირდის ტიპი იყო.

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, უფრო-კი ისინი, ვისაც აბონემენტები აქვს შეძენილი; უაბონემენტონი-კი ნახევრადაც არა სჩანდნენ.

დ. ჯ—ი.

—

ავლაბრის ახალი თეატრი. სამშაბათს, 21 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ავქ. ცაგარლის 4 მოქმედებიანი კომედია „ხანუმა“. ხანუმას როლს ასრულებდა ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა, რომელმაც კარგად შეასრულა ეს როლი. საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება და ტაშის ცემას დასასრული არა ჰქონდა.

ამ საღამოს საზოგადოების ყურადღება მიიქცია აგრეთვე ახალგაზდა მსახიობმა-ქალმა ქ-ნმა ნ. დავითაშვილმა, რომელიც სონას როლს ასრულებდა. სულ ერთი თვეა, რაც ეს ახალგაზდა მსახიობი-ქალი ჩვენს სცენაზედ გამოდის, და ამ ხნის განმავლობაში უკვე საკმაოდ დაიმსახურა საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა. კარგად ასრულება ისეთის პასუხ-საგების როლისა, როგორიც სონას როლია, რისიც ჯერ სცენაზედ ახლად გამოსულის მსახიობისათვის ძნელია, მაგრამ ქ-ნმა დავითაშვილმა დასძლია ამ სიძნელეს და პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა. სწორედ სასიამოვნოა, რომ ამნაირი სცენის მუშაკნი ემატებიან ჩვენს ღარიბს სცენას.

ქ-ნი ჯავახიშვილი უფრო კარგი იქნებოდა, რომ ცოტათი სიმღერის კილოთი არ ლაპარაკობდეს. მართალია, სარა მეტად ღრმა მოხუცია, მაგრამ განა ვინც მოხუცებულია, ყველანი ენა-ჩაკიდებით აგრძელებენ სიტყვებს? ეს ნაკლი რომ შეივსოს, ქ-ნი ჯავახიშვილი უფრო კარგი იქნება საზოგადოდ მოხუც დედაკაცების როლებში; მაინც საერთო ანსამბლს ხელს შეუწყობდა, რომ ცოტათი როლის უცოდინარობასაც არ შეეშალა ხელი...

იშვიათად მოხდება რომ ქ-ნმა გამყრელიძისამ როლი უნაკლულოდ ჩაატაროს, მაგრამ ამ საღამოს მეტად კარგი ქაბატუა მაჭანკალი იყო.

კნეინა თეკლეს როლის აღმასრულებელი ქ-ნი ყიფიანი მეტისმეტად სუსტობდა და როლის ორი წინადადებაც-კი არ იცოდა ერთი მეორეზედ ზეპირად, რაც არ ეპატიება, მით უმეტეს, რომ ჯერ ეს მსახიობი სრულიად ახალია და თუ ეხლავე არ ეცდება საზოგადოების თანაგრძნობის დამსახურებას, ბოლოს გვიანღა იქნება. ამასთანავე, ხმაც მეტად ბოხი და მოუქნელი აქვს ამიტომ უფრო უნდა ეცადოს, რომ ზემოხსენებული ნაკლულევანება თავიდგან მოიშოროს.

მეტად კარგი კოტე ფანტიაშვილი იყო ბ-ნი ბაქრაძე; ბ-ნ აწყურელზედ რისამე თქმა მეტად მიგვაჩნია იქ, სადაც ის თამაშობს ჩვენებურ ლოთიბაშებს. ეს მსახიობი შეუდარებელი აკოფაა ვ. აბაშიძის შემდეგ. ბ-ნი გედევანოვი მოისუსტებდა მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცის როლში, რაც იმით აიხსნება, რომ როლი კარგად არ იცოდა. ბ-ნი ვ. გამყრელიძე ჩვეულებრივ კარგი ვანო ფანტიაშვილი იყო.

დ. ჯ—ი

P. s. ავლაბარში წარმოდგენილ „სამშობლოს“ ჩვენს რეცენზიაში კორექტურული შეცდომა მოგვივიდა,—ბ-ნი სვიმონიძე ლიონიძის როლს ასრულებდაო; „სამშობლოში“ ბ-ნი სვიმონაძე ლევან ხიმშიაშვილის როლს ასრულებდა, და არა ლიონიძისას, როგორც მოხსენებული იყო.

დ. ჯ—ი

—

რუსული ოპერა. ვერდის საუკეთესო ნაწარმოებმა „აიდამ“, რომელიც ამ სეზონში ფიგნერის დასმა მეორედ წარმოადგინა, საზოგადოება ნაკლებად მიიზიდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ ოპერა მშვენივრად იყო მოწყობილი. პარასკევის წარმოდგენაში პირველობა კვლავ ესპოზიტოს უნდა მიენიჭოს, რადგანაც საკვირველის ძლიერებით ამეტყველებდა ორკესტრს და მესამე მოქმედებაში ხომ უმწვერვალესობამდე მიაღწია.

ბ-ნი დარსკი, რომელიც რადამესის მღეროდა, ძლიერის მუსიკალურის ალღოთია მიმადლებული და თავისს თუმცა არა მკვეთრ, მაგრამ, სამაგიეროდ, მოქნილ-შემუშავებულ ხმას ისე ზომიერად ანაწილებს, რომ თვით ოპერის ბოლოშიც საკმაოდ ჰქღერს იგი. დიდის გრძნობა-მეტყველებით სთქვა მან პირველ მოქმედების არიოზო „საყვარელო აიდა“ და უკანასკნელ მოქმედების დუეტი „მშვიდობით, ქვეყანავ!“.

ქ-ნი ალმაევა არც ხმითა და არც გარეგნულის თამაშობით აიდას არ შეეფერება და მისის გადმოცემით ეს მრავალ ტანჯული ადამიანი, ერთის მხრით მსხვერპლი სამშობლოს სიყვარულისა და მეორეს მხრით რადამესისადმი ტრფიალებისა,—უფერული გამოვიდა.

ქ-ნი სელიუკ-როზნატოვსკისა დრამატიულ თამაშობის მხრივ ძალიან კარგი რამ არის ამნერისის როლში, მხოლოდ დროთა სვლისაგან მოქანცული ხმა საშუალებას არ აძლევს მეტის ვნებათა მეტყველებით გამსჭვალოს ამ ადამიანის მგზნებარე არსება.

ბ-ნ ამირჯანს არა უჭირდა-რა ამონასროს პარტიაში, მხოლოდ მეტის-მეტად იგრიხებოდა.

—

გუშინწინდელ გაზ. „ნოვ. ობ.“ ნომერში დაბეჭდილი იყო, ვითომც ცნობილი ანტრეპრენიორი ვ. ლ. ფორკატტი გარდაიცვალაო. ეხლა, როგორც გაზ. „Новости Дня“ იუწყება, ეს ცნობა გამოგონილი ყოფილა. თურმე ვიღასაც „უხუმრია“ რომელიღაც თეატრის ბუფეტში, ეს ხუმრობა გაუგონია იქვე მყოფ რეპორტიორს და გაზეთში „ამბავი“ დაუბეჭდია. ასე „ხუმრობით“ მოჰკლეს საწყალი ფორკატტი. კარგი „ხუმრობაა!“

ბიბლიოგრაფია

li Armeni catoici in Georgia e le questioni fia cattolici Armeni eh Georgiani.

სომეხ კათოლიკე მღვდელმა მეხითარისტმა, გაბრიელ ნახაპეტიანმა, ამ წლის გასულ ივლისს ვენეციაში იტალიურად გამოსცა ერთი წერილი ამ სათაურით: «სომხის კათოლიკეები საქართველოში და საკითხი კათოლიკე სომეხთა და ქართველთა შორის. „Gli Armeni cattolici in Georgia e le questioni fia cattolici Armeni e Ceorgiani».

რადგან ეს წერილი ჩვენ შეგვეხება, ამისათვის ქართველ საზოგადოებას მოკლედ გავცნობთ მისი შინაარსი და ამასთანვე ვუჩვენოთ, თუ რა დარსებისაა მამა ნახაპეტიანის წიგნი.

ეს წერილი სამს მოხსენებას შეიცავს. პირველის სათაური არის: „სომხის კათო-

---

ски хорошо(?) знаешь!“..

„გადაგვარდა—მტერს ჩაბარდაო“, სწორედ ეს არის; აღარც ქართული, აღარც რუსული, არც ფლავი და არც ბოზბაში.

მეორე მაგალითი: მეორე ქართველ ოჯახს „ჯეჯილი“ მოსდის. ერთხელ ჩემი ამხანაგი ეკითხება ამ ოჯახის შვილს, პატარა კოლიას:

— Что это такое?

— Это „Джеджили“, дядя!

— Ты умѣешь читать?

— Нѣтъ, ღლონებით უპასუხებს კოლია.

— А почему?

— Я то хочу и папа говоритъ, что надо знать, но мама не хочетъ!

— Тогда зачѣмъ выписываете?

— Какъ зачѣмъ? Здѣсь тетя пишетъ!-ო.

აი, ბ-ნო, ამისთანა „მამაშების“ შემწეობით კოლიამ არ იცის, რას სწერს მისი „ტიოტია“!

ეჰ, სადა ხარ ძველო „ნენავ“?!. მე მგონი ასეთი მოვლენა რაღაც ძველი ცოდვების ბრალი უნდა იყოს და გთხოვთ გამაგებინოთ, რა ცოდვები მიგვიძღვის ქართველებს!

დ. ელპიტისშვილი.

—

ეშმაკების კრება.

ერთხელ ერთად შეიკრიბნენ
ეშმაკები სათათბიროდ;
ბევრი რამ სთქვეს საგრძნობელი,
ქვეყნის და ხალხის საჭიროდ.
გადასწყვიტეს მათ კრებაზედ
მომავალის ბედ-იღბალი,
და მდივნისგან განაჩენი
იყო ასე წაკითხული:
„ეს ქვეყანა სწორედ უნდა
ჯოჯოხეთსა დავადაროთ
და მის ნახვით ჩვენი მეფე
ხატაელი გავახაროთ.
„სადაც ვნახოთ დავრდომილი,
თავზე ფეხი დავაჭიროთ,
ვინც ცრემლებით შემოგვტიროს,
უფრო მწარედ ავატიროთ!
„აღარ იყოს შებრალება,
არც ის, რაღაც სიმართლეა;
უნდა იქაც დავაბნელოთ,
სადაც ცოტად სინათლეა.
„თუ მშიერი სადმე ვნახოთ,
წავართვათ, რაც აბადია;
ისიც მაძღრებს მივუმატოთ,
ოჰმე, დედავ, რა კარგია!..
„ტიტვლები სულ გავატყაოთ,
მართლის მთქმელი ჩავაქვავოთ...
გაუმარჯოს ბოროტებას!..
მოდით ჩქარა, გავათავოთ“!
აქ მდივანმა განაჩენი
თავმჯდომარეს ხელში მისცა,
ტარტაროზმა გაიღიმა,
სიხარულით დაამტკიცა.,.

ი. მარტვილელი

—

ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

სადღა არის?..

აირია მონასტერი...
აღარა გვაქვს ჩვენი ენა,
არ გვყავს შვილის გამომზრდელი
და თავ-განწირული „ნენა!“..
რომ შვილს ჩაუნერგოს გულში
მომძისადმი სიყვარული
და მომავალ ცხოვრებისთვის
გზა უჩვენოს გაკაფული!..
რომ თვითონ ძუძუ აწოვოს,
ჩააწვინოს აკვანშია;
და ტკბილი ნანინა უთხრას,
დააძინოს იმ წამშია!..
ეალერსოს, მოუაროს,
გრძნობით ჩაიკრას გულშია,
და მამულის სიყვარული
უმღეროს წამ-წუთშია!..
განქრა ყველა.. აღარ არის...
და სიმწარით მეცინება,
რომ ამ დროისა დედები
ურთ-ერთს „მოდას“ ეცილება!..

დ. ელპიტისშვილი

—

„უსტაბაშია“

მუდამ ლხინობს, ქეიფობს,
ყველგან ტოლუმბაშია,
მთვრალი კანონებს ადგენს..
რა ჰქნას,—უსტაბაშია!...
ლამის ხალხი დაარჩოს...
ცრთობ დიდ ამბავშია.
ტყავებს აძრობს ჰამქარსა...
რა ჰქნას,—უსტაბაშია!..
ფულებს ხვეტავს ხარბადა,
თითქო ქერის მკაშია.
„ნალევოს“ და „ნაპრავოს“ *)
იზამს... უსტაბაშია.
გიბრძანებს და გიყვირის,
თუ შეგხვდა ქუჩაშია;
ფული მომეც ჩქარაო..
იზავს... უსტაბაშია..
კაცთა ძარცვას ვაბრალებთ...
მითომ რა შუაშია?
კანონს ემსახურება..
რა ჰქნას,—უსტაბაშია
საყვედურსაც იძლევა,
რადგან დიდ ჯაფაშია,
ერთსა ორად თხოულობს...
რა ჰქნას,—უსტაბაშია.
თუ არა გაქვს, მაშინვე
მისწერს „უჩასტკაშია“;
ზედვე «შტრაფს» წაუმატებს...
იზამს, უსტაბაშია...
იმასაც არ გაკმარებს;
მიგცემს სამართალშია;
სულით-ხორცით გაგყიდის..
ეეჰ, უსტაბაშია...

ან. განჯის-კარელი.

—

⁂

ერთი დიდი მოხელე თელავის მაზრის დასათვალიერებლად მიდიოდა, გომბორის მთას რომ გადასცდა, მეტად მოიწონა თვალ-წარმტაცი არე-მარე და შესდგა ერთს გზა-ჯვარედინზედ, რათა დამტკბარიყო უხვის ბუნების ცქერით. როდესაც სურვილი მოიკლა, მიუბრუნდა ადგილობრივს ბოქაულსა და ჰკითხა,—ეს გზები საიდან მოდის და საით გადაუდისო. ბოქაულიც გამოიჭიმა და საჩქაროდ მოახსენა:—ეს გზები, თქვენო ბრწყინვალებავ, სხვა-და-სხვა სოფლებიდგან მოდის და სხვა-და-სხვა სოფლებისაკენ მიდისო.

— ყოჩაღ, ყოჩაღო—უთხრა სიცილით უფროსმა.

ბარამ-ჯიბილი

—

მოგილოცავთ პირველ ჩინებს „საპატიო ყარაულებს“,
გურიის და იმერეთის თავადთა და აზნაურებს,
სახლიდგან გამოუსვლელთა, ქუთაისში ნამსახურებს.
ჯილდო სწორეთ გერგებოდათ: კარგად სჭამდით მჭადს და პურებს!
ერთი მიკვირს: მეუფროსემ ვით მოგირთოთ წარდგინება,
ან რა საფუძვლით ინება თქვენი ჩინზე დადგინება?
ჯილდო მაინც გერგებოდათ, კაცმა რომ ქმნას განჩინება:
ქუთაის სადილ-ვახშამი, ნავახშმევებს დაძინება!
ვხუმრობ, თვარა [illegible] მიკვირს ჟამად იყავით ცოტა:
უშიშრათ იარებოდით, სადაც იდგა ცხრა როტა.
რა მხნეობა გიწერიათ, მიჩვენეთ თქვენი „ღრამოტა“!
მადლობა ღმერთს, რომ თქვენს ჩხუბში გაძლომით კაცი არ მოკვდა!!

—

დეპეშა

25 ოკდომბერი.

ქუთაისი. „ტფილისის ლისტოკის“ ცნობილ თანამშრომლის თავმჯდომარეობით ქუთაისში არსდება ამხანაგობა სახელად „შაიკა“ (шайка) ჭიათურის მრეწველ ამხანაგობათა გასაძარცვავად. «შაიკაში» ძალიან დახელოვნებულნი გვამნი მიუწვევია თავმჯდომარეს და იმედია მალე დააბინავებენ ხელს ჭიათურელ მრეწველებს.

პეტროვსკი. აქაურს კორესპონდენტს «პატარა ბელურას» თუმცა ტყუილების წერისთვის ბევრი ურტყეს, მაგრამ თავისას არ იშლის, ალბად გვერდები აქვავება.

ვანქის უბანი. რადგანაც საგაზეთო მასალა შემოგვაკლდა, ამიტომ ჩვენის მოთხრობა „უსათაურო“ სამჯერ უკვე დავბეჭდეთ და ვფიქრობთ, მეოთხედ და მეხუთედაც დავბეჭდოთ. რა უშავს,—სხვა-და-სხვა კაცების ნათარგმნია.

ტფილისი. ჩვენს ტფილისს 25 ოკდომბერს საფრანგეთის სჭირი დაემართა: ორი საათიდამ ნაშუადღევის სამ საათამდე ტელეგრაფი არ მუშაობდა. ამიტომ, უკაცრავად, რომ დეპეშებზე დღეს ასე «კოტრად» გახლავართ.

შურდულის განცხადებანი.

ჩემის „ცოდვის“ სურათის გადღების დროს

დავკარგე ქისა,

რომელშიაც ეწყო ჩემი ხატოსნება, სინიდისი და [illegible]. მპოვნელს ვსთხოვ, ქისა მაინც დამიბრუნოს, დანარჩენი აღარ მესაჭიროება და არც თუ ძლიერ საჭიროა. ჯილდოდ მიეცემა ჩემი [illegible].

ბინა: გარეუბნის უბანი, ითხეთ [illegible].

(40—6.*)—1).

რედაქტორ-გამომცემელი ია ერიძე.

---

*) მარცხენა და მარჯვენა ჯიბეში ჩაჰყრის.

*) ამ განცხადებაზე „შურდულის“ რედაქციას ჯერ ფული არ მიუღია. [illegible] დავბეჭდეთ,—მერე გამოგვიგზავნეთ ფულსა, თუ მართლა [illegible]

„შურდულის“ რედ.

დიკეები საქართველოში, „Gli Armeni cattolici in Georgia» გვ. 1—12. ამ ნაწილში ავტორი აღნიშნავს სომხების შეერთებას რომის ეკკლესიასთან ძველ დროიდგანვე, და მათ კეთილ-განწყობილებას რომისადმი; დიდ სასომხეთში მისიონერების შრომას, განსაკუთრებით სომეხ-უნიტორების დიდ მოღვაწეობას და კათოლიკობის გავრცელებას სომხებში. ასე რომ 1316—1334 წ. საქართველოში და მის გარეშე სომხის კათოლიკეების რიცხვი აჭყავს 19,000 სულამდე. მაჰმადიანების მიერ სასომხეთის მოოხრების გამო, სომხებმა დაიწყეს საქართველოში შეხიზვნა და ქართველთ მეფეებმა, მეტადრე დავით აღმაშენებელმა, და სომეხთ მარიამ დედოფალმა მეტად ხელი მოუწყეს მათ საქართველოში გადმოსახლებას, ასე რომ სომხებმა საქართველოს ყველა ქალაქები გაავსეს და ქართველებს რიცხვითაც ბევრად აღემატნენო; სომეხ უნიტორებმა ამ სომხებში გაავრცელეს კათოლიკობა, გაკათოლიკებული სომხების რიცხვი იმდენად აღემატა, რომ მათივის ტფილისში დაარსეს საეპისკოპოსო კათედრა და შვიდი ეპისკოპოსი ავიდა ამ ტახტზედა; მათი დანიშვნის ყველა გარემოება ამტკიცებს, რომ იგინი იყვნენ მარტო სომხის ერისათვისო; რომსა და უნიტორებს მარტო ეს ერი ჰქავდათ სახეში და ამის გამო არავერს ატყობინებდნენ საქართველოს მეფეებს და არც საქართველოს სამეფო ქალაქად სთვლიდნენ ტფილისსო; შემდგომ მოვიდნენ თეატინელი მისიონერები, მაგრამ მათი შრომა ქართველებისათვის სრულებით უნაყოფოდ დარჩაო; ბოლოს მოვიდნენ კაპუჩინები საქართველოში. მათი მისიონის ისტორია მეტად ნაკლულევანია, სრულებით არ იხსენიებს მათ უწინარეს იმ კათოლიკებს და ტფილისის სომეხ-კათოლიკე ეკკლესიას, სადაც შვიდი ეპისკოპოსი იჯდათ. ამათ მხოლოდ სომხები გააკათოლიკეს და ყველა ქალაქების კათოლიკენი სულ სომხები იყვნენო. ამას ამტკიცებს აგრეთვე ციციშვილის და სხვა მთავარ-მართებლების წარდგენილი მოხსენება, სადაც კათოლიკედ მარტო სომხებს იხსენიებენო. ქართველთ მეფენი და პატრიარქნი მხოლოდ მაშინ იჩენდნენ თავს, როცა სომხები მისიონერებს სდევნიდნენ; პაპებს სწერდნენ ლათინურად წერილებს, რომელიც არც ესმოდათ და არც როდისმე წაუკითხიათო; მათ მოჩვენებით ჰპირდებოდნენ რომის ეკკლესიასთან შეერთებას, მხოლოდ იმისთვის, რომ მათგან საჩუქრები მიეღოთ. მხოლოდ აგერ ოცი წელიწადია, რაც ერთმა გალათინებულთა გუნდმა თავი გამოიდო. დაიწყო ახლად გაქართველება (neogiorgiani), ყველა საშუალება მიმართა და დაუწყო კათოლიკეებს ჩაგონება: მრავალი საუკუნეა, რაც თქვენ საქართველოში სცხოვრობთო, ამისთვის თქვენც ქართველი უნდა იყოთო. მ. მიხელ თამაროვმა არხივებში შეკრებილი დოკუმენტები გამოსცა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ იმ აზრით, რომ ვითომ დაემტკიცებინა ქართველ კათოლიკობის არსებობა; გარნა ყველა კრიტიკოსმა ქართველებმა, სომხებმა და თვით მეც შევნიშნეთ, რომ ეს გამოცემული დოკუმენტები უფრო სომხებისათვის სასარგებლოა, ვინემც ქართველ კათოლიკეებისათვისაო; ეს წიგნი ამტკიცებს ჩვენს წინადადებასო, რომ როგორც უწინდელნი, ისე ახლანდელნი კათოლიკეები, ყველა სომხები არიანო; მშვიდობის დასამყარებლად საჭიროა, რომის ტახტმა ურჩიოს ამ ახლად გაქართველებულებს, რომ მიუბრუნდნენ სომეხ კათოლიკე სამწყსოს, რომლისაგანაც განშორებულან და გაუყვაით თვიანთი ტომი და ტიპიკონი, რათა გამხდარიყვნენ წარჩინებულნი და კეთილშობილნიო.

ამ წერილის მეორე მოხსენებას, რომელსაც თარიღი უზის 21 ივნისისა 1903 წ. (ვენეცია, გვ. 13—21), ეს სათაური აქვს: „სწრაფი განხილვა კონსტანტინეპოლში. ფერიქიოვის მონასტრის მისიონერების დასაწყისისა, მათი განზრახვისა, შეხედულებისა და ქართველ კათოლიკეებად გარდაქცევისა. Ropida esposizione sull origine dei Missionari del Convento di Feri-Kecy a Konstantinopoli, sui loro disegni, vedute e sulla metamorfosi dei georgiani Cattolici.“

ამ წერილის უმთავრესი მიზანია, უჩვენოს დასაწყისი ახლანდელი ქართველი კათოლიკობისა კავკასიაში. აღსწერს, თუ ახალციხელმა მღვდელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა როგორ და რა საშუალებით დაარსა კონსტანტინეპოლში მონასტერი და თუ იქ ნაკურთხმა მღვდლებმა როგორ გაიტაცეს ხელში საქართველოს ყველა კათოლიკე ეკკლესიები, მეტადრე ტფილისის ერთად ერთი ეკკლესია, რომელიც, ყველას მოწმობით, სომხის კათოლიკის ეკკლესიაა, თუმცა მასში თავდაპირველად წინამძღვარნი კაპუჩინები და ლათინის ტიპიკონის პოლონელი მღვდლები იყვნენო, ამიტომ მისი ვიქარი მუდამ სომხის მღვდელი ყოფილაო. პრელატმა ორლოვსკიმ, 1878 წ., ახალი ეკკლესია ააშენა და მთლად თავისი ლათინის წესის მრევლით იქ გადავიდა და ძველი ეკკლესია დარჩათ აქაურ ლათინის წესის მღვდლებსო; ამ გარემოებიდან წარმოსდგა ქართველ კათოლიკეების საკითხიო; ქართველმა მისიონერებმა ამ ეკკლესიიდან განაძევეს სომხის მღვდლები, და შემდგომ მრევლს ჩააგონეს, თქვენ ქართველი ხართ და არა სომეხიო ვთქვათ, აგერ რვა საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოში მკვიდრობთ, რის გამოც დაგავიწყდათ თქვენი სომხური ენა, ჩვეულება, და გრძნობით გაქართველდითო; თუ ქართველად შერაცხავთ თქვენს თავს, რუსის მთავრობაც კარგად მიგიღებსთ და ბევრი სარგებლობაც გექნებათო; ერი ლათინის ტიპიკონზედ გადაიყვანეს და ესრედ ჩამოაგდეს სიმძულვარე ორსავე მხარესო; სომხობის ყველა კვალი ეკკლესიაში ბარბაროსულად მოსპესო და წინამძღვარმა ალფონს ხაიაროვმა კეთილ მყოფელი სომხების ყველა დოკუმენტები დასწვა, გარდა ერთისა: ქართველების ესრეთი დარბაისლური მოქმედება სომხებისა და მათი ტიპიკონის წინააღმდეგ მარტო ამ ეკკლესიაში არ ყოფილა, არამედ კავკასიის ყველა ეკკლესიებში ასე ჩაიდინეს და დღესაც ასე მოქმედებენო. ამით ჩემი მისსია ძლიერ დამიბრკოლეს, რადგან, როდესაც მივედი ტფილისში, დავუწყე შეერთებაზედ ლაპარაკი გრიგორიან სომხებს. ამათ ერთად ერთ საძნელოდ მიჩვენეს მისიონერების მტრობა სომხების წინააღმდეგო. ესენი სომხის ეკკლესიისა, ტომისა და ლიტურღიის წინააღმდეგ ყველანაირ უწესობას ჩადიანო, რის გამოც ყველა ჩემი სიტყვა უნაყოფო რჩება სომეხ-გრიგორიანების წინაშეო. ამ მისიონერებმა რომს დააჯერეს ვითომც გალათინებული სომხების საშუალებით ადვილად შეიძლება კათოლიკობის გავრცელება მართლმადიდებელ ქართველებშიო, აი ასეთის სიცრუით რომსა და საფრანგეთს აჯერებენ ქართველ კათოლიკების არსებობასო. ბოლოს ურჩევს რომს, თუ მართლა კავკასიაში კათოლიკობის წარმატება უნდა, ტფილისის ეკლესია დაუბრუნოს სომეხ კათოლიკეებსაო, და მისცეს სომხის წესის ეპისკოპოსიო.

მღვ. მიხელ თამარაშვილი.
(შემდეგი იქნება)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ოკდომბერი

კელცი. ადგილობრივის კათოლიკეთა სემინარიის პროფესორს მღვდელს ბოდაცკის ნება-რთვა მიეცა გამოსცეს ჟურნალი პოლონურს ენაზე.

მოგილიოვი. გიმნაზიის დასაარსებლად მსტისლავში საზოგ. გადასდო 120,000 მანათი და სოფლელმა მებატონე ქალმა სტახოვსკისამ 40,000 მანათი.

კელცი. ნება დართულია დაარსდეს აქ საკომერციო სასწავლებელი.

პარიჟი. საკასაციო პალატამ არ შეიწყნარა ტერეზა და ფრედერიკ ემბერების საჩივარი.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო პანამის მართებლობისაგან დეპეშა და ოფიციალური ცნობა ამ მართებლობის დაარსების შესახებ. ამბობენ, სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალურად დაეთანხმება ამ მართებლობის დაკანონებას, უკეთუ იგი დამკვიდრდება და წესიერებას დაიცავს.

ვენა. პორტას საპასუხო ნოტას აქაური დიპლომატიური კრებული ჰკიცხავს, რადგან იგი თითქმის სრულიად აუქმებს მიურცშტეგის შეთანხმებას.

25 ოკდომბერი.

პორტ-არტური. პეკინიდამ იტყობინებიან, იმპერატორის რეზიდენცია შეიძლება გადავიდეს სიანფუში, თუ პეკინში უცხო სახელმწიფოთა საგუშაგოთვის გზა გახსნილი იქნება.—ტუნფუსიანი კვლავ გაჩნდა მონგოლიაში და ხალხს ძარცვავს. ჩინეთიდამ ჯარები გაგზავნეს.—19 ოკდომბერს ჩინეთის რკინის გზის სადგურ პუკანდიანთან გაიარა შეიარაღებულმა ხუნხუზთა ბრბომ, რომელიც ორას კაცამდე იყო, და რამდენიმე ჩინეთის სოფელი გაძარცვეს, რუსებისას კი ხელი არ ახლეს.

ვილდპარკი. 24 ოკდომბერს, 10 საათზე, მობძანდა გერმანიის იმპერატორი და გაგზალზე შეეგება იმპერატრიცა.

სტამბოლი. პორტასაგან ნოტაზე მიღებულს პასუხში რეფორმების შესახებ ნათქვამია, რომ კომისიაში, რომელმაც ჟანდარმერიაში ცვლილება უნდა შეიტანოს, არიან გერმანიის ინსტრუქტორები აუდერ-ფაშა და რიუკტგოშ-ფაშა. კომისიას ვალად ედო უფრო ეგდო სამხედრო გემებისათვის; რომელნიც დაყენებულნი იყვნენ იმიტომ, რომ გარჩიათ საქმეები იმ ბოროტ-მოქმედებაზე, რომელიც ჯარებმა ჩაიდინეს.—ჰილმი-ფაშამ, ვალიმ და სამხედრო უფროსებმა სამის ვილაიეტებისამ სასტიკი ბრძანება მიიღეს დაუჩქარონ რეფორმების შემოღებას. პორტა, ცხადია, ცდილობს სამ ვილაიეტში გააუმჯობესოს საქმეთა მდგომარეობა; ამ სახით იგი ფიქრობს თავიდგან აიცდინოს ის რეფორმები, რომელიც ორმა სახელმწიფომ მოსთხოვა.

ვაშინგტონი. შეერთებულის შტატების მთავრობამ შეიწყნარა პანამის არსებული მართებლობა და მიანდო ბიუკატს ამერიკელებს, შეატყობინოს ამაზე კოლუმბიის მთავრობას.

სტამბოლი. ინგლისმა მხარი მისცა იმ პროგრამას, რომელიც სახელმწიფოებმა მოსთხოვეს პორტას. სულთანის ბრძანებით, 23 ოკდომბერს, ჰილმი-ფაშას გადასცეს დარიგებანი საზოგადო პატივების გამო, რომელიც უნდა მიენიჭოს არა მხოლოდ იმათ, ვინც ერივნენ უკანასკნელ აჯანყებაში და გამოძიების ქვეშ არიან, არამედ ყველა ლტოლვილთა.

სოფია. პრინცეს კლემენტინამ, დედამ მთავარ ფერდინანდისამ, მიჰმართა ზოგიერთ ხელმწიფეებს, რომელთაც ის ენათესავება, და აუწყა უნუგეშო მდგომარეობა ბულგარეთიდამ ლტოლვილთა. - იმპერატორმა ფრანც იოსებმა მიანდო თავის წარმომადგენელს სოფიაში გადასცეს 10.000 ფრანკი.

სოფია. სანდო ადგილებში შეუტყვიათ, რომ სულთანმა გადასწყვიტა აპატიოს დანაშაული ყველა იმათ, ვინც უკანასკნელ აჯანყებაში ერივნენ.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გაზ. „სარატოვის ლისტოკს“ ერთის თვით აუკრძალა კერძო განცხადებათა ბეჭდვა.

პეტერბურგის ბირჟა 24 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი.	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.. მამულო ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	451½ მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	339 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	286½ წვრ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	91⅞
6% ქუთ. სა მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

(ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ცდვის სახლით ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთ, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა მიმართოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთ დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

განცხადებანი

СЛИВОЧНОЕ МЫЛО
НЪГА
ТОВАРИЩЕСТВА
А. РАЛЛЕ и Ко
МОСКВА.

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЬ

მის იმპერატორ. უდიდებ. კარის ვაჭარი,

Pasta Eugènie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სარეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugènie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სალებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ სალებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჯაგრის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფელ ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ -ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст“.-დან, № 233 1901 წ. (40—36)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

საწყობი ქაღალდის

დიტიატკოვის ამხანაგობა

მოსკოვი 1882 წ. ნოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66.

(30—6.—30)

Дозв. цензурою. Тифлисъ, 25 октября 1903 г.   Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-ряг. семинаріи   დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭიძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი,